საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 3 დეკემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 60 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 60 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე: პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხოლო უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 262 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 262

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდათუთქულნი მშობლები: ელიზბარ მეგრელიძე და ფოტინე იერის ასული კანიშვილები, დები: ქეთევან ელიზბარის ასული მურუმლაძისა მეუღლით, ტატიანა და ქსენია, ძმები: დავით, კონსტანტინე, რაჟდენ და დანიელ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასის და მუდამ დაუვიწყარ

მარო ელიზბარის ასულის მეგრელიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ქვენობანში (გურია) ხუთშაბათს, 5 დეკემბერს (ახალი სტილით) ნაშუადღევის 3 საათზე. (3—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბართლომე გრიგოლის ძე მეგრელიძე შვილებით, სიდედრი ანუსი, რძალი ივლიტა და მაზლი იაგორ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ

მარო ელიზბარის ასულის მეგრელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 5 დეკემბერს (ახ. სტილით) ნაშუადღევის 3 საათზე ს. ქვენობანში (გურია). (3—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელენე, შვილები: ივანე დუმბაძე და კატო კონტრიძისა, რძალი ლიზა, სიძე ვასო კონტრიძე უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

გიორგი ივანეს ძე დუმბაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ოთხშაბათს, 4 დეკემბერს დღის 3 საათზე ს. ჭალის ეკლესიის გალავანში. (1—1)

მწუხარებაში მყოფი მეუღლე არჩილ კეკელიძე შვილებით, დედმამა ვადასი კონსტანტინე მგალობლიშვილები, დედამთილი ეკა, მამამთილი გრიგოლ, მაზლები რაფიელ და ანდრო კეკელიძეები, დები სონა, თეკლე და ანეთი მგალობლიშვილები, მულები, ქეთო და ელენე კეკელიძეები, ძმები ლავრენტი და გრიგოლ მგალობლიშვილები, დის შვილები სიმონ, ნინა და თამარა გოგიბერიძეები აუწყებენ ნათესავ ნაცნობებს გარდაცვალებას თავისი ძვირფასი დაუვიწყარის

რებეკა კონსტანტინეს ასულის კეკელიძისა.

დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს 3 ქრისტეშობისთვეს სოფ. იანეულში.

გულდამწვარი ცოლი აგრაფინა, მამა ბართლომე და ძმა ვანო იაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გიორგობისთვის 30-ს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ევგენი

გამოსვენება გონჩაროვის ქუჩა, № 8. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე 3 ქრისტეშობისთვეს. (1—1)

თავზარდაცემული მეუღლე ბარიტონ სიმონის ძე ურუშაძე, უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ქრისტინე ბერიძის ასული ნაკაიძისა, შვილები: ელენე, ნადია, ფატმანი, გაბრიელ, გიორგი, ზინა (ცეცა) ბარიტონის ძენი და ასულნი ურუშაძეები, ძმა ვლადიმერ ნაკაიძე, დები: თინა ხომერიკისა, ნინა (პუფული) ბოლქვაძისა, სიდედრი ბაკაკო ურუშაძისა, სიძეები ლავრენტი ხომერიკი, სოლომონ ბოლქვაძე, ანტონ ქლენტი, მულე ბაბინე ქლენტისა, რძლები ნინო და ელენე ნაკაიძისა, ძმისწულები ლიუდმილა, გიორგი, ივანე, ალექსანდრე, ლია და თამარო ვლადიმერის ძენი და ასულნი ნაკაიძეები, დისწულები: ვეტიხი ლავრენტის ძე ხომერიკი, ვენერა და ელენე სოლომონის ასულნი ბოლქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას უძვირფასესის და მარად დაუვიწყარის

ლიუდი გიორგი ნაკაიძის ასულის ურუშაძისა.

ცხედარს გაასვენებენ თფილისიდან გურიაში სოფ. ლანჩხუთში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათ. სოლომონ ბოლქვაძის ბინაზე, ანდრეევის ქ. სახლი № 92 (1—1)

დიდი ხნისა და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ თფილისში გარდაიცვალა [illegible]

სამსონ დარჩია,

რასაც გულითადი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს და მათი ოჯახის პატივისმცემელთ მოსიყვარულე მეუღლე ასინეთი და შვილები: ევგენი, მოსე, გიორგი, ნატალია, ბაბინე, ლეონიდა და ალექსანდრე. მიცვალებულს წაასვენებენ თფილისის სადგურიდან დღეს 3 დეკემბერს, დილის 10 საათზე ლანჩხუთში. დასაფლავება ს. ჯუმათის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ანიკა, ლიზა და სავლე ლეჟავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელი და დაუვიწყარი ბიძაშვილი

შალიკო ლეჟავა,

ბოროტმა ხელმა ვერაგულად გამოასალმა უდროოდ წუთისოფელს. გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია 3 ქრისტეშობისთვეს, სამშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ბარბარე ილიას ასული, ძმა მელიქა, ცოლის ძმა გიგო ილიას ძე აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ უდროოდ დაკარგვას რკინის გზის მემანქანის

ნიკო დვალის

გამოსვენება მოხდება რკინის გზის საავადმყოფოდან 3 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ სახლში [illegible] შესახვევი № 8. დაკრძალვა მოხდება 4 დეკემბერს დილის 10 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი გადახდილი იქნება 3 დეკემბერს საღამოს 6 საათზე. (1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე რუსუკა, შვილები ბორისი და ნიკოლოზი, ძმა დომენტი, რძალი პოლიანე, ძმისწული მაკარი გვარჯალაძეები, სამამრო ლუკაზორე, სიდედრი ბაბინე, ცოლის ძმა ველიკო, ცოლის დები შუშანიკა და ეფროსინე ფირცხალაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ლონგინოზ ანდრიას ძე გვარჯალაძის

უდროოდ დაკარგვას. მიცვალებულის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 30 ნოემბერს ნაშუადღევის 2 საათზე, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში.

„ოპოზიციის" ახალი ავანტიურა

საორშაბათო გაზეთ „სოც. დემოკრატ"-ში მოთავსებულია ცნობა, რომ ქ. თფილისში დაარსებულია „დროებითი საოლქო საორგანიზაციო კომიტეტი სოც.-დემ. მუშათა პარტიის ამიერ კავკასიის ორგანიზაციებისა". ამ ახალ „კომიტეტის" დაარსების მოთავეობა უკისრიათ „რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ძველს ორგანიზაციებს და ჯგუფებს": რომელთა შორის ჩამოთვლილია ხუთი: 1) „ბაქოს" (უპევალია, ჯგუფი); 2) „სომხური სექცია რ. ს. დ. პარტიისა"; 3) მუსულმანთა სექცია „ჰუმეტ", 4) „სალიტერატურო ჯგუფი „სოც.-დემოკრატი"" და 5) „ოპოზიცია მე-8 სიეზდზე".

პირველ შეხედვით ახალი „კომიტეტის" სათავეში თითქოს ავტორიტეტული „ჯგუფები და ორგანიზაციები" ჩამდგარან. მაგრამ ჩავუკვირდეთ ამ „ორგანიზაციების და ჯგუფების" შემადგენლობას და დავინახავთ, რომ მათი რიცხვი ერთბაშად ხუთიდან ორზე დავა.

ამ მოთავეთა შორის პირველად მოხსენებულია „ბაქოს" ჯგუფი. მე-8 სიეზდზე ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ჯგუფი არც ერთს ორგანიზაციას არ წარმოადგენს, სიეზდზე დასწრო 1—2 წარმომადგენელი ამ ჯგუფისა უმანდატოთ, სათათბირო ხმით. მაშასადამე, ავტორიტეტობის მხრით ამ ჯგუფს თავის სახარბიელოთ არაფრის თქმა არ შეუძლიან. პირიქით, ბაქოდან ჩამოსულ ამხანაგთა დიდს უმრავლესობას ამ „ჯგუფთან" საერთო არა აქვს რა, მის „ოპოზიციონერობას" არ იზიარებს და მე-8 სიეზდის უმრავლესობას ემხრობა.

შემდეგ ადგილი ახალ „კომიტეტის" მოთავეთა შორის უჭირავს სალიტერატურო ჯგუფს „სოც.-დემოკრატს". მაგრამ დაგვისახელონ ახალ „კომიტეტის" მესვეურებმა თუნდაც ერთი წევრი ამ „ჯგუფისა", რომელიც არ შედიოდეს რომელიმე ჩამოთვლილ „ორგანიზაციაში ან ჯგუფში". ჩვენ თამამათ ვიტყვით, რომ ისინი ვერც ერთს ამისთანას ვერ დაასახელებენ. შემდეგ მეხუთე ადგილი უჭირავს „ოპოზიციას მე-8 სიეზდზე". დაგვისახელონ თუნდაც ერთი წევრი ამ „ოპოზიციისა", რომელიც უკვე არ შედიოდეს სხვა ჩამოთვლილ „ჯგუფებში".

ამნაირათ, დარჩა ორი ნამდვილი ორგანიზაცია—„სომხური სექცია" და „ჰუმმეტი". ყველამ კარგათ იცის ამ ორივე ორგანიზაციის სისუსტე, ყველამ იცის, რომ, ჩვენდა სამწუხაროთ და სავალალოთ, მათი გავლენა მუშებში და დემოკრატიაში მეტად სუსტია.

ამნაირია ის ძალები, რომელიც სათავეში უდგას ახალს „საოლქო კომიტეტს". და სწორეთ კომიკურ მდგომარეობაში ჩვარდებიან ჩვენი „პროტესტანტები", რომლებიც ჯერ თავის „მოწოდებაში", შემდეგ გაზ. „სოც.-დემოკრატ"-ში აცხადებენ, „ჩვენი ქართველი სოც. დემოკრატები ჩვენ გამოგვეყვნენ და დაარსეს დამოუკიდებელი სოც.-დ. პარტია საქართველოსი".

მაგრამ განვიხილოთ ახალი „საოლქო კომიტეტის" დაარსება მისი პოლიტიკური მნიშვნელობის მხრივ.

დემოკრატიულ პარტიის დაარსება ზევიდან პირდაპირ შეუწყნარებელია. ჩვენ არ გაგვიკვირდებოდა, რომ რომელიმე კადეტურ „სოციალისტურ ჯგუფს" გამოეცხადებინა თავისი თავი პარტიათ, დაეარსებინა „კომიტეტი" და ეწარმოებინა თავისი პოლიტიკა. მაგრამ არ შეიძლება ჩვენი განცვიფრება არ გამოვხატოთ, როდესაც პარტიის აშენების ამისთანავე მეთოდით გამოდის ხალხი, რომლებსაც თავი მიაქვთ „წმინდა წყლის" სოც. დემოკრატებათ და რომლებსაც ვითომდა სოც.-დემ. პარტიის სიწმინდეს იცავენ. მათ უნდა იცოდნენ ის საანბანო ჭეშმარიტება მაინც, რომ სოც.-დემოკრატიული პარტიის აშენებისათვის საჭიროა ჯერ მუშათა ორგანიზაციები გყავდეს, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ პარტიებისა, შენდება **ძირიდან, და არა ზევიდან.** უკვე ეს წმინდა ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური მეთოდი პარტიის დაარსებისა გვიჩვენებს, რა „წმინდა წყლისაა" ჩვენი „პროტესტანტების" სოციალიზმი.

თვით ფაქტი ახალ პარტიის დაარსებისა მაჩვენებელია ჩვენი „პროტესტანტების" სრული სოციალისტური უსუსურობისა. მათ არ მოსწონთ ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დაარსდა ცალკე სოც.-დემ. პარტია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში მოქცეული სოც.-დემ. ორგანიზაციები ტერიტორიალურათ გამოეყო ჯერ რუსეთის და შემდეგ ამიერ-კავკასიის სოც. დემ. ორგანიზაციებს. მათ ეს არ მოსწონთ იმიტომ, რომ მათი სიტყვით, ეს მოასწავებელია სოც.-დემ. პარტიის შედგომას ნაციონალურ პოლიტიკის ნიადაგზე. და რას სჩადიან ამ „საფრთხის" ასაცილებლად ჩვენი უებრო „ინტერნაციონალისტები?" ქ. თფილისში უკვე არსებულ ს.-დემ. პარტიის გვერდით აარსებენ ცალკე პარტიას, რომელიც ფაქტიურათ თავის ორგანიზაციებს ნაციონალურათ აკავშირებს. მართალია, ჩვენი „პროტესტანტები" სიტყვის გასალამაზებლათ „გამოყოფილ ქართველ ამხანაგებსაც" მოუწოდებენ თავის დროშის ქვეშ, მაგრამ არა გვგონია თვით ამ სიტყვების ავტორებიც არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ არც ერთი ქართველი მუშა მათ დროშის ქვეშ არ წავა. მაშასადამე, მათი მუშაობის შედეგი ერთად-ერთი შეიძლება იყოს,—„საქართველოს სოც.-დემ. პარტიისაგან" ჩამოშორება არა-ქართველ მუშებისა. აი ეს გახლავთ წმინდა ნაციონალისტური პოლიტიკა, რომლის წინააღმდეგ ასე გაჰკივიან და რომელსაც სხვას უკიჟინებენ ჩვენი „ინტერნაციონალისტები".

ახალი სოც.-დ. პარტიის დაარსება სოციალისტებისათვის ყოველ მხრივ დაუშვებელია.

უკვე არსებულ სოც.-დ. პარტიის გვერდით ახალ ორგანიზაციის შექმნა—ეს გახლავთ წმინდა რასკოლნიკური ნაბიჯი.

ამ ორგანიზაციებში მუშების შეერთება ეროვნული ნიშნით, (ფაქტიურათ) ეს არის წმინდა ნაციონალისტური საქმე.

სოც.-დემ. პარტიის ზევიდან დაარსება იმ დროს, როდესაც ჯერ არავითარ მუშათა ორგანიზაციებში არ მოუპოვებია გავლენა,—ეს გახლავთ წმინდა **ბურჟუაზიულ ინტელიგენტური** მოქმედება.

და ამ პოლიტიკურ ნაბიჯების გადადგმა უგავლენო ჯგუფის მიერ დღევანდელ პასუხსაგებ მომენტში,—ამას ეწოდებოდა უპასუხისმგებლო ავანტიურიზმი.

საქართველოს დღესასწაული

დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავის ნახევარი წლის არსებობა იდღესასწაულა. მან მთელი ქვეყნის წინ გადაშალა თავის შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფი, რომელიც ამ ექვსი თვის განმავლობაში შეუქმნია. მან ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა თავის ძირითადი პრინციპები და მთავარი მიზნები, რომელიც ასულდგმულებს საქართველოს დემოკრატიას.

გარეთ ახალგაზრდა ჯარი, ორიოდე თვის ნაწრთვნი, ქალაქის მილიცია, და სახალხო გვარდიის ნაწილები მწყობრათ ერთი-მეორის გვერდით ჩამწკრივებული, გულითადი ხალისით, ენერგიით და აღფრთოვანებით ეგებებოდნენ დემოკრატიულ მთავრობის წარმომადგენლებს! აღტაცებული საზოგადოება თავმოყრილი ახალგაზრდა შეიარაღებული ძალის სადღესასწაულო გამოსვლის საყურებლად, სიამით და სიყვარულით შესცქეროდა რესპუბლიკის დამცველთ, რომელნიც ხალხმა—ხალხისავე სასიხარულოთ მოიწოდა. ჯარი დემოკრატიული—ჯარი ხალხის მსახური, ჯარი თავისუფლების და რესპუბლიკის დამცველი—აი ვის შესტრფოდა რესპუბლიკის ყოველი წრიდან მოსული მოქალაქე. ზეიმობდა ქუჩა. იმედის სხივი ეფინებოდა სახეს, როცა ხედავდა, თუ რა აღადგინა ქაოსიდან დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიამ: მომავლის რწმენა მაგრდებოდა და მკვიდრდებოდა გულში, როცა ხედავდი დემოკრატიული შემოქმედების ნაყოფს, ახალი სახელმწიფოებრიობის მწყობრ დარაზმულობას. დიახ, ქუჩა ზეიმობდა; მაგრამ არც პარლამენტის დარბაზი იყო ნაკლებ აღფრთოვანებული. აქ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, თავმჯდომარემ პარლამენტისა და მთავრობისა—ორმა საამაყო ბელადმა სოც. დემ. პარტიისა და სახელოვანმა მეთაურმა დემოკრატიისა და მთელი ერისა, მკვირცხლად და მკაფიოდ გამოამჟღავნეს ნაყოფი დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა.

„თავისუფლება და წესიერება შეერთებულ-შეთანხმებული"—აი დევიზი საქართველოში, აი ის გზა, რომლითაც შესძლო პატარა რესპუბლიკამ ანარქიის ქაოსში შექმნა ეს პატარა კუნძული გაევროპიელების გზაზე შემდგარი ერისა.

ჩვენ შევინარჩუნეთ ის, რაც მოგვცა რუსეთის დიდმა რევოლუციამ, ჩვენ დავძლიეთ საშინელება ანარქიისა და სისასტიკე რეაქციისა, ჩვენ გავატარეთ დემოკრატიული პრინციპი მართველობისა, შევქმენით ერობა, შემოვიღეთ ახალი სასამართლო.—აი რას მოგვითხრობდა მთავრობის თავმჯდომარე.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ის, რაც მოგვცა 6 თვის არსებობამ. პირველმა ანგარიშმა, რომელიც მთავრობამ წარუდგინა პარლამენტს და ხალხს, ამ უაღრესათ დემოკრატიული ჩვეულების დაკანონებამ, გამოაშკარავა, რომ საქართველოს მშრომელ ხალხს არ უხელმძღვანელია ეროვნულ მძულვარებით და მტრობით, პირიქით, მან დაამტკიცა, რომ ერთა სოლიდარობის პრინციპი—მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი ყოფილა ჩვენი რესპუბლიკის.

ჩვენ რუსეთის საქმეებისა და დაწესებულებებისათვის გავიღეთ ჩვენი მჭლე ხაზინიდან 98 მილიონი მ. ექვსი თვის განმავლობაში! და ეს ციფრი გვიჩვენებს, რა მტერი და მოძულე ყოფილვართ ჩვენ იმ ერის, რომელსაც გამოვეყავით.

ინსინუაციას ამის შემდეგ უნდა პირს კლიტე დაედოს.

და ესეც არ არის ყველაფერი, რაც გამოჩნდა ამ დღეს. დღესასწაული—ჩვენმა მხნე დემოკრატიის ბელადმა—ნ. ჟორდანიამ ნამდვილ ისტორიულ დღეთ აქცია. მან ხაზგასმით აღნიშნა ისტორიული კავშირი 26 მაისისა ამ ასი წლის წინეთ დადებულ ხელშეკრულებასთან, რომლითაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. მისთვის ჩვეულის სიმარტივით და ღრმა ანალიზით გააშუქა აუცილებლობა, სრული მიზან-შეწონილობა და ნამდვილი დემოკრატიული მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობისა. ქართველ ერის ტრაგედია, მან ახსნა, როგორც ტრაგედია იმ ერისა, რომელიც ევროპისკენ მიისწრაფვის, თუმცა აზიის ჩარჩოებშია ისტორიულ ბედით ჩაჭედილი. ევროპის კულტურისაკენ, განათლებულ ქვეყანათა ოჯახში შესვლისაკენ—აი გზა ჩვენი დემოკრატიის. ამისთვის შევუერთდით ასი წლის წინეთ რუსეთს. ამისთვის გამოვეყავით მას დღეს. აზიის ბარბაროსობისა და ბარბაროსთაგან თავის დაღწევა და ევროპის კულტურის ზიარება, აი საქართველოს დემოკრატიის ისტორიული მოვალეობა, აი ერის გულის ნადები, რომლის განხორციელებისაც ემსახურება მისი ყოველი ნაბიჯი. დამოუკიდებლობა ერთი რგოლია ამ მისწრაფებისა და მას საქართველოს ისტორიის ფურცლიდან ვერავინ ამოგლეჯს. ჩვენ გვინდა, ჩვენ შეგვიძლია, დავამტკიცეთ უკვე, რომ შეგვიძლია და საბუთიც გვაქვს, უშუამავლოთ შევიდეთ ევროპიელ ხალხთა ოჯახში და გაევროპიელებულნი შევეგებოთ მომავალ საკაცობრიო იდეალების—შრომის სუფევის—განხორციელებას.

აი, რა დაგვიხატა 1 დეკემბრის დღესასწაულმა. და მოცინარე მზე სამხრეთის ცისა დაჰყურებდა პატარა რესპუბლიკის მხნე დემოკრატიის საამაყო დღესასწაულს.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

საქარ. პარლამენტ. სადღესასწაულო სხდომა.

1 დეკემბერს დანიშნული იყო საქართველოს პარლამენტის სადღესასწაულო სხდომა საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის შესრულების გამო. დილის 10 საათიდან ხალხმა იწყო დენა სასახლისაკენ, სასახლის ახლო გაიმართა ჯარების და მილიციონერების აღლუმი (პარადი). 12 საათზე აურაცხელი ხალხი იყო სასახლის წინ მოზღვავებული. ქ. თფილისის მუშები მოვიდნენ თავიანთი დროშებით. 1 საათის დასაწყისს გაიხსნა პარლამენტის სხდომა. სხდომას აურაცხელი გარეშე საზოგადოება დაესწრო, და-

ესწრენ აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი. დარბაზი სადღესასწაულოთ იყო მორთული. პირველ სიტყვას ამბობს კარლო ჩხეიძე.

კარლო ჩხეიძის სიტყვა

დღეს თვეა რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მხოლოდ ნახევარი წელია რაც არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. ერის ცხოვრებაში, ხალხის ისტორიაში თვე და თუნდ წელიწადიც ცოტა დროა, მაგრამ დღეს, როცა მთელი კაცობრიობა სდგას უდიდესი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილების წინაშე, როცა ასე თვალსაჩინოთ იცვლება მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობა, როცა პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა დღის საყოველთაო ლოზუნგათ გადაიქცა, ასეთ ხანაში გავლილი დრო მთელ ეპოქას უდრის. დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც სავსებით უნდა გამოიხატებოდეს ხალხის სრული სუვერენობა, შეურყეველი ნეიტრალიტეტი და მეგობრული კავშირი სხვა ერებთან, აი საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრივი შემოქმედების და აღმაშენებლობისა და თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დღიდან ჩვენი დამოუკიდებლობისა ჩვენ მტკიცეთ და შეურყევლათ ვიდექით ამ ნიადაგზე და მომავალში ჩვენ ამ გზას ჩვენის ნებით არ ავსცდებით.

მე ამ ხანად ზედმეტად მიმაჩნია დაწვრილებით განმარტება, თუ რამდენათ მნიშვნელოვანი იყო და არის აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

მე ნებას მივცემ ჩემ თავს ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას. თქვენ ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ მეფის რუსეთი მოსისხლე მტერი იყო ერთა თვითგამორკვევისა. ამიტომაც მოხდა, რომ დაიმსხვრა თუ არა ძველი რუსეთი, ხალხთა შორის გაისმა ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის თავისუფლებისა და ამ ნანგრევებზე იწყო აღმოცენება სხვადასხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულებისა. ეს პროცესი რასაკვირველია, სრულიად ბუნებრივი იყო და ჩემის აზრით, დიდი შეცდომა იქნება, თუ ვინმე ფიქრობს რომ შესაძლებელია ამ პროცესის შეჩერება ან უკუღმა შეტრიალება.

როგორც იცით, საქართ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა სხვებზე გაცილებით უფრო გვიან, გამოაცხადა მაშინ, როცა რუსეთი ნანგრევებათ იქცა და რევოლუცია ანარქიათ. მიუხედავათ ამისა, არც ერთ აქტს დამოუკიდებლობისას არ გამოუწვევია ისეთი მწვავე ინტერესი, როგორიც გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტმა.

1) საქართველოს ომი გამოუცხადეს რუსეთის იმ ელემენტებმა, რომელზედაც დაყრდნობილი იყო მეფე და რომელნიც დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველო უკუნითი უკუნისამდე უნდა ყოფილიყო საუკეთესო მარგალიტი მეფის გვირგვინისა. მათ ვერ შეიგნეს და ვერც შეიგნებენ, რომ ეს კუთხე იყო განძი, რომლის დაცვას და პატრონობას ხალხი ათასი წლობით თავს სწირავდა და სისხლს ღვრიდა.—

2) დამოუკიდებელ საქართველოს ომი გამოუცხადეს რუსეთის იმპერიალისტებმა, რომელნიც მუდამ აია სოფიაზე და სტამბოლზე ოცნებობდნენ. ისინი ვერ მიხვდნენ და ვერც მიხვდებიან, რომ დამოუკიდებელი საქართველო არავითარ მილიტარისტულ ავანტიურაში მონაწილეობას არ მიიღებს; ის მხოლოდ თავისას დაიცავს და სხვას არ გადაეცილება.

3) დამოუკიდებელი საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო და იქნება, სანამ იარსებებს ბოლშევიზმი, რადგან საქართველო გახდა რევოლუციის მჭეთ, ბოლშევიზმი კი ანარქიის წყაროთ,

ყველა ეს ელემენტები იმოქმედებენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ცეცხლითა და მახვილით და ჩვენც რაღა დაგვრჩენია მეტი, რომ იმავ იარაღით ვიმოქმედოთ მათ წინააღმდეგ.

---

4) არიან ისეთები, რომელნიც ჩვენს დამოუკიდებლობას სიხარბის თვალით შეჰყურებენ, როგორც ეს სჩვევია, ასე ვსთქვათ, „ობივატელს“. მათი ხელობა ძრომიალი მოღვაწეობაა. ესეთები დიდ საშიშროებას არ წარმოადგენენ, თუმცა მათზე თვალი მარჯვეთ უნდა გვეჭიროს; მათ ასეთ პოლიტიკას ჩვენ დაუპირდაპირებთ ჩვენს გულახდილ სოლიდარობის პოლიტიკას და არ შეიძლება ამან ასეთები არ ჩააფიქროს და გონზე არ მოიყვანოს.

5) არის კიდევ ერთი ჯურის ხალხი, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას უარყოფით არ ეპყრობიან, მაგრამ მეტის „გულმტკივნეულობის“ გამო მოსთქვამენ და დაგვტირიან, რომ ჩვენ მეტათ სუსტნი ვართ ეკონომიურად, ფინანსიურად და ამიტომაც ჩვენი დამოუკიდებლობა პირდაპირ დაგვღუპავს. ასეთი ჯურის ხალხის დიდი უმეტესობა ნამდვილი ეშმაკის მოციქულები არიან და მათთან ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს, ხოლო ვინც მათში კეთილსინდისიერია ჩვენ ვსთხოვთ მათ, ნუ კი დაგვტირიან, მოვიდნენ და თავისი ცოდნით და გამოცდილებით გაგვამაგრონ.

საზღვარგარეთ ჩვენ თანამგრძნობიც ბევრი გვყავს. ამას სხვათა შორის მოწმობს ის, რომ პატივი დაგვდვეს, დაგვესწრნენ სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის დემოკრატია სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა, საქართველოს დემოკრატია მასთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიოდა. დღეს ანარქიამ და კონტრ-რევოლუციამ რუსეთის ნამდვილი დემოკრატია გასტეხა, რის გამოც საერთო დემოკრატიულ მუშაობაში თანამშრომლობა შესწყდა.

ბევრს ამის მიზეზათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ჰგონია. ვინც ასე მსჯელობს, მას შედეგი მიზეზისაგან ვერ გაურჩევია. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის მოსურნენი რუსეთში, ასე არ ფიქრობენ. პირიქით, მათ კარგათ იციან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აუცილებელი პირობა შეიქნა ჩვენი თვითგამორკვევის განხორციელებისათვის და თუ ეს თვითგამორკვევა ნორმალურ პირობებში მოხდება, ამით მაგარი საფუძველი ჩაეყრება საერთო დემოკრატიულ მუშაობას და თანამშრომლობას. მანამდის კი ჩვენ კეთილის მოსურნეებს რუსეთში უნდა დავუმალოთ ერთი რამ:

საქართველოზე დღეს რუსეთში ავრცელებენ ათასგვარ ჭორს და ცილის წამებას. მათ საქვეყნოთ და სასტიკათ უნდა დაგმონ ასეთი საქციელი. ეს მით უმეტეს საჭიროა რომ ჩვენ სამწუხაროთ ჯერ ძლიერ ნაკლებათ გვიცნობენ ისინი, ვის ხელთაც არის დღეს ქვეყნის ბედ იღბალი, ჩვენ საკმაოთ ვერ გვიცნობენ ევროპაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში და სხვა.

მართალია ჩვენ ახლახან შემთხვევა გვქონდა დაგვემტკიცებია ერთი უგანათლებულესი ევროპიელი ხალხისთვის, რომ ჩვენ ვიცით ფასი თავისუფლებისა, წესიერებისა, ლოიალობისა, დისციპლინის, დამოუკიდებლობის, რომ ჩვენ გვაქვს უნარი სახელმწიფოებრივ აღმაშენებლობის, რომ ჩვენ ვიცით ფასი მტრისაც და მოყვრისაც.—

დღეს ჩვენ შემთხვევა გვეძლევა პირისპირ შევხვდეთ სხვა ევროპიელ ხალხთა წარმომადგენლებს და თამამად ვიტყვით, რომ ამ შეხვედრის ჩვენ არც გვრცხვენია, არც გვეშინია:

არ გვრცხვენია, რადგან ჩვენ ხელთ გვაქვს დღეს ჩვენი დამოუკიდებლობა, ხელთ გვაქვს ყველა ის მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი გარანტიები, რომელთა აკვანი იყო, ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის დემოკრატია —მართალია ჩვენ ვართ ნივთიერად ღარიბნი, მაგრამ არა ვართ ღარიბნი სულით და მდიდარნი ვართ ჩვენი ქვეყნის ბუნებით და ვინც ამ მდიდარ ქვეყანაში მოსულა იმიტომ, რომ თავისი ცოდნით და საქმით გვასარგებლოს ჩვენ და თითონაც ისარგებლოს, ჩვენ მას ვეტყვით: კეთილი იყოს მოსვლა თქვენი და დახვედრა ჩვენი. ხოლო მას, ვინც ამ სიმდიდრეს მარტო თავისთვის მოინდომებს, და ჩვენ გადატკეპნას მოინდომებს, ჩვენ მას ვეტყვით: ხელი შორს.—

მე მოგახსენეთ, არც გვეშინია მეთქი რადგან ინგლისმა, საფრანგეთმა ამერიკამ უკვე დიდი ხანია აღიარეს პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა და იმედია ისინი არ უღალატებენ ამ პრინციპს და ვერც უღალატებენ.

არ გვეშინია, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ იმედი გვაქვს ჩვენც მოგვეცემა საშუალება საერთაშორისო კონფერენციაზე ჩვენ წარვსდგეთ და ვაუწყოთ მთელ კაცობრიობას ჩვენი ავ კარგი, ჩვენი უფლებები.

არ გვეშინია, ვინაიდგან ჩვენი სახელმწიფოა დემოკრატიული რესპუბლიკა, და თუ ევროპის დემოკრატია დაიძვრის და გასწევს იმ მერმისისკენ, სადაც აღარ იქნება ერთა შორის მტრობა და კლასთა შორის ბრძოლა, ჩვენ მზათ ვართ გავყვეთ მას და არ ჩამოვრჩეთ არც ერთ ნაბიჯზე.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

1 დეკემბერი.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 30 ნოემ., ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტინი. გერმანია. ნაუენი, 28 ნოემბ. ბერლინის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის შეთანხმება მოხდა. პოლიტიკური ძალა უფლება გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელშია. საბჭოთა ყრილობამდე ც. აღმ. კ. ცენტრალურ საბჭოს ფუნქციებს ასრულებს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს მიერ სახალხო კომისართა საბჭოს არჩევა ნიშნავს მას, რომ დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი ძალა-უფლება თავის ხელში აიღო. რესპუბლიკის კაბინეტის წევრთა ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი, მასვე ეკუთვნის კონტროლის უფლება. როგორც კი შესაძლებელი იქნება, მოიწვევენ სრულიად გერმანიის საბჭოთა ყრილობას. სახალხო კომისართა საბჭომ დაარსა კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ბრალდება, რომ გერმანიაში სამხედრო ტყვეებს მკაცრათ ეპყრობიან. ჰანგერმანული „ლაიპციგერ ნაჩრიჰტენი“ დიდ შიშს გამოსთქვამს და სწერს: „ნუ თუ შესაძლებელი შეიქნება პარალელი გავატაროთ კრონშტადსა და კილ შუა, თავად ლვოვსა და მაქს ბადენის პოზიციის შუა, კერენსკისა და ებერტს შუა. გაზეთი დიდ შიშს გამოსთქვამს აგრეთვე შესაძლებელ პარალელზე ლენინსა და ლიბკნეხტის შორის. დროებითი ზავის მკაცრი პირობები, საჩქარო დემობილიზაცია, სურსათის კრიზისი და უმუშევრობა, კარგი ნიადაგია ბოლშევიზმისათვის. ბელგია. 28 ნოემბერი. საფრანგეთის სანგრებში მყოფ ბელგიის პოლკებმა წითელი დროშა აღმართეს. ჰოლანდია. ბერლინი. 28 ნოემბ. ამსტერდამში აჯანყება მოხდა. ბირჟასთან მრავალ რიცხოვანმა ბრბომ მოიყარა თავი. ორატორები მოითხოვენ რესპუბლიკის დაარსებას. დემონსტრაცია გაფანტეს სროლით. მრავალია მოკლული და დაჭრილი. ქალაქში პოლიციის გაძლიერებული რაზმი დადის. სოციალისტები მოითხოვენ მთავრობის შედგენას, რომელმაც თავის ხელში უნდა აიღოს მრეწველობის საქმე, ბანკები და სურსათის განაწილების საქმე. კარნაფონი, 28 ნოემბ. მოკავშირეთა მთავრობის წარმომადგენლებმა განუცხადეს ჰოლანდიის მთავრობას, რომ ის მზად უნდა იყვეს პირველ მოთხოვნისთანავე გადასცეს მოკავშირეთ ვილჰელმი. დანია, ბერლინი, 26 ნოემბ. კოპენჰაგენში დემონსტრაციები იმართება. დემონსტრაციაში 10,000 კაცზე მეტი მონაწილეობს. ორატორები მოუწოდებენ ხალხს რევოლუციისაკენ. გაზ. „სოციალ-დემოკრატენის“ რედაქციის წინ დემონსტრანტები პროტესტს აცხადებენ... (გამოტოვებულია) პოლიცია დემონსტრანტებს წინააღმდეგობას უწევდა. შვეიცარია. 28 ნოემბ. მთელ შვეიცარიაში საალყო წესები შემოიღეს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაფიცვებით შეუძლებელია შეთანხმების მიღწევა. შესდგა ინტერნაციონალური რევოლუციონური კომიტეტი, რომელმაც მოწოდებით მიმართა ხალხს განაახლონ საერთო გაფიცვა.

იტალია. ბერლინი. 28 ნოემბერი. იტალიის მუშათა შორის მღელვარებაა. მილანში და სხვა ქალაქებში გაფიცვები რამოდენიმე დღეს გაგრძელდა. მთავრობის რეპრესიები მდგომარეობას ართულებს. ავსტრია, ნაუენი, 28 ნოემბერი. ლვოვის პოლონელმა კომენდანტმა გამოსცა დადგენილება გერმანიის ოფიცრების და ჯარის რეგისტრაციის შესახებ, წინააღმდეგობის გამწევნი პოლონეთის არმიის მტრათ ჩაითვლება. ბერლინი. 28 ნოემბერი. კანადა, ცნობაა რომ დასავლეთ კანადაში არეულობაა. საერთაშორისო კავშირის პროპაგანდა კარგს ნიადაგს პოულობს მუშათა შორის. სტოკჰოლმი 28 ნოემბერი, ფინლიანდიაში დაიჭირეს რუსეთის შიკრიკი, საბუთები ჰელსინგფორსში გაგზავნეს. პეტერბურგი. 29 ნოემბერი. ფინლიანდიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა ფინლიანდიაში მყოფ გერმანელ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მიმართ: „სალამს გიძღვნით თქვენ გერმანელ ამხანაგებს. აღსდექით თქვენც როგორც აღსდგნენ თქვენი ამხანაგები გერმანიაში. ჩამოაგდეთ გენერლები ისე, როგორც თქვენმა ამხანაგებმა ჩამოაგდეს გამბურგში, ბერლინში და მიუნხენში. განთავისუფლეთ თავი და ჩვენი რევოლუციონერი ამხანაგები, რომელნიც ფინლიანდიის სისხლის მსმელთა ხელში არიან და ციხეში იტანჯებიან. ეს თქვენი რევოლუციონური მოვალეობაა. ვიდრე ფინლიანდიაში სცხოვრობთ, დამტკიცეთ, რომ თქვენ გსურთ გახდეთ მონაწილენი დაჩაგრულთა განთავისუფლებაში. ნუ დაუჯერებთ ბურჟუებს, რომელნიც სცდილობენ თქვენს დამშვიდებას. რესპუბლიკანელები და ის ესდეკები რომელნიც ფინლიანდიის პროლეტარიულ რევოლუციის მოღალატენი გახდნენ, ჩვენი და თქვენი საერთო მტრებია. უკრაინა. პროსკუროვკა, 28 ნოემბერი ხარკოვის ყველა ქარხნებში საბჭოების არჩევნები დაიწყო, უმეტესობა ბოლშევიკების მხარეზეა. ორთქლმავალის ქარხნებში ხუთი მეექვსედი დეპუტატებისა კომუნისტია, ხარკოვში მბეჭდავთა გაფიცვაში პეტლიურა ჩაერია, გაფიცვა დასრულდა მოთხოვნილების დაკმაყოფილებით. გერმანიის საბჭო ავალებს უკრაინისკენ მიმავალ ყაზახებს გზა გადაუღობონ. ბალბაჩანის შტაბის ცნობით უკრაინის მთელ მარჯვენა მხარეში ძალაუფლება უბრძოლველად პეტლიურას ხელში გადადის, ხარკოვსა, ეკატერინოსლავსა და სევასტოპოლს შუა გერმანელთა საბჭოს კონტროლის ქვეშ მიმოსვლა განახლდა. ბობრუისკი. 28 ნოემ. კიევში გერმანელთა ჯარისკაცების ეშინით. ქუჩებში დამამშვიდებელი განცხადებაა გაკრული. სადაც კიევის სარდლობა კიევთან მომხდარ შეტაკების ცნობას აღასტურებს, ამტკიცებს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლას. გერმანიის ჯარი ნეიტრალიტეტს დაიცავს. კიევში მოხალისეთა არმიამ ებრაელთა თემი გარეკა.

საქსონიის კულტურის მინისტრმა ბიფუკმა სამღვდელოებას განუცხადა, რომ სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება 1919 წლ. 1 აპრილიდან უნდა შესწყდეს. გადასახადების აკრეფის უფლება ეკლესიებს სრულიად ჩამოერთვა. პოლიტიკურ კომუნებს არ ექნება უფლება საეკლესიო გადასახადი სახელმწიფო გადასახადებთან ერთად აკრიფონ.

კიევიდან იუწყებიან, რომ კიევში მყოფ გერმანელ ჯარისკაცთ ბოლშევიკებმა უთხრეს, არც ერთი ჯარისკაცი არ უნდა წავიდეს სამშობლოში, სანამ თავის აფიცრებს არ ამოხოცავენ. გერმანიის წარმომადგენლებს, რომლებმაც საზღვრამდე გააცილეს იოფფე. უკანასკნელმა განუცხადა, რომ ბერლინში გავლენა... (დამახინჯებულია) მდგომარეობა თვით მიიყვანს ბოლშევიზმამდე.

ამ ჟამათ გერმანია „კურენკის“ ხანას განიცდის. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების დამშვიდებული მოქმედებაც არ აკმაყოფილებს მას.

ლვოვში მომხდარ ებრაელთა დარბევის შესახებ. დაწვრილებითი ცნობები გამოირკვა. პირველათ პოლონეთის ლეგიონერებს სათითაოდ გამოჰყავდათ ებრაელები და ქუჩაში ხოცავდნენ. შემდეგ ებრაელთა უბნებში აგროვებდენ მათ ერთად და ოჯახებში ჟლეტდენ. იმ იმედით, რომ ეკლესიის სიწმინდეს პატივს სცემდენ. ებრაელებმა თავი სამლოცველოს შეაფარეს, პოლონელი ლეგიონერები შენობას გარს შემოერტყენ და ცეცხლი წაუკიდეს. ვინც გაქცევას შეეცადა, იქვე მოკლულ იქმნა. სამლოცველოში დაიწვა 100 ებრ. ამის შემდეგ ლეგიონერები გარს შემოერტყენ ებრაელთა უბანს და ცეცხლი წაუკიდეს.

იტალიის პრესა მოითხოვს კოლონიების საკითხის ეხლავე გადაწყვეტის აუცილებლობას, რათა მომავალში კონფლიქტებს ადგილი არ ექნეს. იტალიის პრესის აზრით ისეთი ხალხი, როგორიც გერმანელებია, თუ ძალით განიდევნა კოლონიებიდან, ახლო მომავალში შემოიკრებს ისეთ ძალას რომ გასწყვეტს ბორკილებს. და ახალ ომს დაიწყებს.

გერმანიის უკანასკნელი ჯარი ე ლა შანელიდან 28 ნოემბერს, მოვიდა გერმანიაში, ასე რომ გერმანიის ჯარმა დაცალა მტრის ყველა ადგილი. ე ლა-შანელში დარჩა მხოლოდ საველე ლაზარეთი, რომელიც ჩამორჩენილებზე იზრუნებს. გერმანიის ჯარმა რეინის ქალაქები წესიერათ და მშვიდობიანათ განვლო.

სტოკჰოლმი. 29 ნოემბ. ჟენევიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთში მრავალ ადგილას რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო. მოძრაობის ცენტრს პარიზი წარმოადგენს. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობაში მონაწილეობას არ იღებენ. საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარი საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით დაიკეტა, იმ მიზნით რომ რევოლიუციონურ პროპაგანდას ხელი შეუშალონ. უკრაინაში ძლიერი ბრძოლაა. ჩრდილოეთში რევოლიუციონური აჯანყება სისწრაფით ვითარდება. ყველგან დაარსდა საბჭოები, უკრაინის ცენტრში, სახელდობრ ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიაში. პეტლიურას ჯარი გეტმანის აფიცერთა რაზმს ებრძვის. პეტლიურას ჯარის მიერ დაჭერილ ქალაქებში შეთანხმების საერობო საბჭო აღადგინეს. გეტმანის ოფიცერთა რაზმის დასახმარებლად დენიკინის რაზმი მოდის. ვორონეჟი. 30 ნოემბერი. ქ. ვალუიკი აჯანყებულთა ხელშია. ხდება მშრომელთა მობილიზაცია. ვალუიკის რკინის გზაზე მოძრაობა აღდგენილია.

გერმანული პრესის ცნობა.

30 ნოემბ. სახალხო კომისართა საბჭომ 29 ნოემბერს მიიღო გერმანიის საკონსტიტუციო ეროვნულ ყრილობის არჩევნების წესი, საარჩევნო უფლება ეთანხმება 1918 წლის 12 ნოემბრის მოწოდების ძირითად დებულებებს. მთელი გერმანიის სახელმწიფო 1914 წლის პირველ აგვისტომდე არსებულ საზღვრებში დაყოფილია 38 საარჩევნო ოლქად. საზავო ხელშეკრულებათა დადგენილებანი სახეში არ არის მიღებული. თითო ოლქი ირჩევს მცხოვრებთა რაიონების მიხედვით 6—16-მდე დეპუტატს; არჩევნები უნდა მოხდეს 1919 წლის 16 თებერვალს, თუ ამას დაადასტურებს გერმანიის სახელმწიფოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა, რომელიც 16 დეკემბერს უნდა შესდგეს.

იმ მიზნით, რომ გაიფანტოს ის მრავალი ხმა და მოსაზრება, რომელიც ტახტიდან გადადგომამ გამოიწვია ყოფილმა იმპერატორმა ვილჰელმმა II ოფიც. დოკუმენტში განაცხადა, რომ უარს ამბობს პრუსიის და მასთან ერთად საკავშირო გერმანიის გვირგვინზე. დოკუმენტში ნათქვამია: საუკუნოთ უარს ამბობს პრუსიის გვირგვინზე და გერმან. იმპერატორობაზე.

ამავე დროს ვანთავისუფლებ ერთგულების ფიცისაგან პრუსიის და გერმანიის იმპერიის ყველა მოხელეს, ოფიცერს, უნტერ-ოფიცერს და ჯარს. მე ველი თქვენგან, რომ ყველა თქვენ გერმანიის სახელმწიფოში ახალ წესწყობილების დამყარებამდე, დახმარებას გაუწევთ იმ პირთ, რომელთა ხელშია ამ ჟამათ ძალა-უფლება და რომელნიც დაიცავენ გერმანიის ხალხს ანარქიისაგან, შიმშილისაგან და უცხოელთა ბატონობისაგან. ყველა ამის და სამტკიცებლათ ხელს ვაწერ და საიმპერატორო ბეჭედით ვამოწმებ 1918 წლის 28 ნოემბერს. ველბეგლში.

გროსბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა დაარსოს ოთხი განსაკუთრებული უწყება [illegible] პოლიტიკის საქმეებს, რომელშიაც შევა პრუსიის [illegible] წევრი 21 [illegible] სახელმწიფოთა 8 წარმომადგენელი და აღმოსავლეთ-დასავლეთ ფრონტის და ფლოტის 3 წევრი. მეორე.—პრუსიის საქმეთა უწყება, შემდგარი აღმასრულებელ საბჭოს 9 წევრისაგან. მესამე.—გროსბერლინის 7 წევრისაგან. მეოთხე.—აღმასრულებელი საბჭოს შინაგან საქმეთა ოთხი წევრისაგან.

ახალი ამბები

სამშაბათს, 8 დეკემბერს საღამოს 5 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა ს. დ. პ. ცენტრალური და თფილისის კომიტეტებისა, საკონტროლო კომისიისა, რაიონულ კოლექტივებისა, კოლექტივებისა და ს. დ. ქალთა ორგანიზაციებისა. სხდომაზე ნ. ჟორდანია გააკეთებს მოხსენებას ორგანიზაციულ საკითხებზე.

— **დღესვე** 4 საათზე აქვე შესდგება ბაქოს ს.-დ. ორგანიზაციის წევრთა კრება.

◆ **მთიელთა** რესპუბლიკის მთავრობის საინფორმაციო ბიურო აცხადებს: „ამ უკანასკნელ 2—3 დღის განმავლობაში გავრცელდა ხმა ვითომ პეტროვსკი ბოლშევიკების ხელშია. ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია. 1 დეკემბერს საღამოთი თემირ-ხან-შურიდან და პეტროვსკიდან მოსულ ოფიციალურ ცნობის თანახმათ პეტროვსკი და სადგურები „ჩირიურტი“, „ხასავ-იურტი“ და „გუდერმესი“ მთიელთა მთავრობის ჯარს უჭირავს და პეტროვსკს არავითარი საფრთხე არ მოელის ბოლშევიკების მხრით. რკინის გზის ხაზი აღდგენილია“.

◆ **გერმანიის დელეგაციის ცნობა.** გერმანელთა მისიის გადმოცემით, 30 ნოემბერს ფოთში ჩამოსულა 2 ინგლისელების კრეისერი და ერთი „ისტრებიტელი“. მათმა უფროსმა ჯერ მოითხოვა გერმანელებისათვის იარაღის აყრა, მაგრამ ინგლისის უმაღლეს მმართველთან მოლაპარაკების შემდეგ, უკანასკნელმა შესცვალა თავისი გადაწყვეტილება. კრეისერები და „ისტრებიტელი“ ფოთიდან ბათუმისაკენ წავიდნენ.

◆ **დეპეშა:** თფილისში, ერევანში, ტეგერანში, ენზელში, კრასნოვოდსკში დაშნაკცუტიუნის პარტიის აღმოსავლეთ ბიუროს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სომხეთის კორპუსის უფროსს. 29 აგვისტოს ლიპარიტ ნაზარიანცი და მე დაგვაპატიმრა მოსკოვში ბოლშევიკების მთავრობამ შაუმიანის და მისი ვაჟების მძევლათ. ციხეში ვიტანჯებით და ნახევრათ მშიერი ვართ, დღეში გვეძლევა ერთ მეოთხედ გირ. პური და ორ საინ სრულიად წყლიან ბორჩს, მეტს არაფერს. ვიტანჯებით ფიზიკურათ და სულიერად. მთავრობამ ჩვენი ბედი შაუმიანის ბედს დაუკავშირა. ჩვენი ბედი თქვენს ხელშია. გთხოვთ ჩვენ შესახებ მოლაპარაკება გამართოთ საბჭოების მთავრობასთან. სომხ. საქმე კომ. ოგანესოვი.

◆ **საეკლესიო საქმეები.** ბათუმის განყოფილების თხოვნით რუსთა ეროვნულ საბჭომ სთხოვა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რათა მათ გადაეცეს შესანახად ბათუმის სამხედრო სობოროს ქონება, რომელიც ბათუმიდან გადატანილია თფილისში და ინახება ალექსანდრე-ნეველის სობოროში. საბჭომ პასუხად მიიღო, რომ სანამ არ გადაწყდება საკითხი ამ სობორის საქართველოს სამხედრო უწყებისადმი გადაცემისა, ეს ქონება რუსების ეროვნულ საბჭოს არ დაუბრუნდება.

◆ **განათლების სამინისტროში.** განათლების სამინისტრომ განიხილა მე-4 გიმნაზიის დირექტორისაგან წარმოდგენილი მოხსენება ზაალიშვილის კერძო გიმნაზიის შესახებ და გადაწყვიტა „ზაალის“ გიმნაზია დაიხუროს, როგორც განათლების სამინისტროსადმი არაშესაფერი სასწავლებელი.

◆ **ბერძენთა ეროვნული საბჭო.** ელლინელთა ეროვნული საბჭომ დანიშნა კომისია 3 ამიერ-კავკასიის ელლინელთა ყრილობის მოსაწვევათ, რომელიც უნდა შესდგეს 10 იანვარს. ყრილობის მიზანია საბჭოსაგან ანგარიშის ჩაბარება, და ელლინთა საბჭოს სახელის „ელლინელთა ნაციონალური საბჭო საქართველოს რესპუბლიკაში“—გადაკეთების შესახებ.

◆ **სტუდენტთა შორის.** ოთხშაბათს, 4 დეკემბერს, ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის შენობაში, სტუდენტ მარქსისტების შეერთებული ორგანიზაცია მართავს საღამოს გერმანიის რევოლუციის შესახებ მომხსენებლებათ გამოვლენ სმირნოვი და ბიილო, საღამოზე მონაწილეობას მიიღებს სახალხო უნივერსიტეტის გუნდი. შესასვლელი ბილეთები ღირს 1 მანეთი.

◆ **თფ. მ. და ს. საბჭოს** სამანდატო კომისია მიმართავს [illegible] და საქართ. ორგანიზაციებს შეატყობინონ სამანდატო კომისიას 3 დღის განმავლობაში რიცხვი მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 დეკემბერი (ძველი სტილით 29 ნოემბერი) სახალხო გვარდიის დღე

ორგანიზაციის მუშების საბჭოს წევრებისა, ვისაც არ შეუტყობინებია ჯერ 3 დღის შემდეგ ცნობები ჩაითვლება დაგვიანებულათ.

◆ ფშავ ხევსურების წარმომადგენელმა, ქუროვანიძემ შუამდგომლობა აღძრა თფილისის გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ ფშავ ხევსურეთში 100 ვერსის მანძილზე გაყვანილ იქნეს გზები და ტელეფონები. გენერალ-გუბერნატორმა თხოვნა გადასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

◆ დღეს, 3 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია; 1) ექ. მაისურაძისა „ანატომია", 2) ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა.

◆ **ახალციხისა და ახალქალაქის ლტოლვილები.** მოძრაობის უფროსმა მაჭავარიანმა დეპეშით სთხოვა გზათა სამინისტროს გაგზავნოს ახალციხისა და ახალქალაქის ლტოლვილების საგარეჯოდან ბადიაურში გადასაყვანად 28 დახურული და 2 ღია ვაგონი. საგარეჯოში ეს ლტოლვილები უკვე მომზადებულნი არიან ვაგონებში ჩასასხდომად.

◆ **შეშა.** მიწათმოქმედების სამინისტრო სთხოვს გზათა სამინისტროს განკარგულება მოახდინოს, რათა ის შეშა რომელიც ქალაქის თვითმართველობამ თავის ნებით წამოიღო მე-300 ვერსიდან და რომელიც მიწათმოქმედების სამინისტროს ეკუთვნოდა, თფილისის სადგურიდან მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულს დ. კახლიძეს გადაეცეს.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კ-ტი

ძმებო, მუსლიმანო ქართველებო!

დადგა დრო, ძველი შეცდომები გავასწოროთ, მოვიხსნათ მძიმე უღელი თურქების ბატონობისა, მოვიშოროთ ის შერცხვენა, რომელიც თავს დაგვატყდა; მოვიშოროთ ჩვენი მცარცველები, გამჯობველები, ამკლებლები და შემარცხვენელნი. დადგა დრო, როცა შეგვიძლია ჩვენი საქმე, ჩვენი ბედი ჩვენ თვითონ მოვაწყოთ.

თქვენ გეცოდინებათ, ომი გათავდა. ოთხთა კავშირს ჯერ გამოეცალა ბულგარია და შეურიგდა ინგლისელებს და ფრანგებს, მას მოჰყვა ავსტრია. ბოლოს გერმანიამაც იარაღი დაყარა. ოსმალეთი კიდევ ადრე დაეცა. ის დათანხმდა ყველა პირობებს, რომელიც ინგლისმა წამოუყენა. უნდა აჰყაროს იარაღი მთელ თავის ჯარს, მხოლოდ შიგნით მცველები დასტოვოს. უკვე გახსნა ჩანაკალე და ინგლისელები შემოვიდნენ სტამბოლში. ოსმალეთმა უნდა დასცალოს ყველა დაჭერილი ადგილები და დაბრუნდეს თავის ძველ საზღვრებზე.

ამგვარად, თურქების ჯარი უნდა გავიდეს ჩვენი ქვეყნიდანაც, უნდა დასცალონ ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, მურღული, ბათომი, გონია. კარგა ხანია ისინი უნდა გასულიყვნენ ჩვენი ქვეყნიდან, მართალია ნელ-ნელა გადიან, მაგრამ რაღაცა ფეხს ითრევენ, კიდევ ახალს ხიფათში ჩაგვაგდებენ.

ჩვენში ბევრი ხალხის მტერი ცუდ ხმას ავრცელებს. გვეუბნებიან, ქრისტიანი ქართველები შურს იძიებენ, გვემტერებიან, დაგვეცემიანო. სულ ყველაფერი ეს ტყუილია. ჩვენ თავდები ვართ, რომ ქრისტიან ქართველებს მხოლოდ ჩვენი კარგი უნდათ. არავითარი შურის ძიება, არავითარი დანაკარგის ძებნა არ იქნება. ძველი ყველაფერი სულ დავიწყებულია და ქრისტიანი ქართველობა ძმურ ხელს გვიწვდის. თქვენ თურქის ოფიცრები გატყუებენ. სტამბოლში ძველი მთავრობა დაეცა. ენვერი, თალაათი და მათი ამხანაგები გაიქცნენ. ჩვენში დარჩენილი ითთიჰადის კაცები ახლა ცდილობენ დროებით თავი შემოგვაფარონ. არ დაუჯეროთ მათ, არ აიღოთ იარაღი. არ დასტოვოთ ჩვენში ჩვენი ნამუსის შემარცხვენელი თურქის ოფიცრები და ჯარის კაცები, არ მისცეთ მათ ნება ჯარის ტანისამოსი დაყარონ და ჩვენებურათ ჩაიცვან. ოსმალებს ნუ აჰყვებით, თორემ ახალ უბედურებაში ჩავარდებით. ოსმალეთი ინგრევა, არაბისტანი მოიშორდა. თვითონ ოსმალეთი აირდაირია, გალარიბდა და შეწუხდა. გურჯებს, მაჰმადიან ქართველებს თურქებისგან ხეირი არ აქვთ. ნუ გადავიკიდებით ჩვენ ძმებს, ქრისტიან ქართველებს, შევუერთდეთ საქართველოს. მთელი ქართველობა ჩვენ გვაძლევს ფართო ავტონომიას, ფართო თვითმართველობას. ყოველივე ჩვენ შინაურ საქმეებს ჩვენ თვითონ მოვაწყობთ. ჩვენი რჯულის საქმეები, ჩვენი მედრესეები, ჩვენი მართველობა ჩვენ ხელთ იქნება. მხოლოდ ქრისტიან ქართველებთან გვექნება საერთო საზღვარი და საერთო საქმეები. არავინ მოგატყუოთ, ჩვენ რჯულის საქმეებში ქრისტიანი ქართველები არ ჩაერევიან. მაშ, ძმებო, ნუ აჰყვებით თურქებს და მათ დამქაშებს. ჩვენ საქმეებს ჩვენ თვითონ ჩავუდგეთ სათავეში და ჩვენ ძმებთან, ქრისტიან ქართველებთან ერთად, მოვაწყოთ ჩვენი მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება.

გაუმარჯოს თავისუფალ სამაჰმადიანო საქართველოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში!

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ!

გაუმარჯოს მუსლიმან ქართველებს!

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე **მემედ-ბეგ ხანჯაქ ბეგ ზადე აბაშიძე.**

კომიტეტის წევრები: ზია-ბეგ სანჯაქ ბეგ ზადე აბაშიძე, ახმედ ბეგ თულუმბაზადე ბეჟანიძე, კადირ ბეგ შერვაშიძე, ჰაიდარ-ბეგ სანჯაქ-ბეგზადე აბაშიძე, სულეიმან ეფენდი დიასამიძე, იუსუფ ეფენდი ქათამაძე, ქემალ-ნოღაიდელი, ხასია თხილაიშვილი.

მუსლიმან ქართველთა ბათალიონის უფროსი **ახლან-ბეგ აბაშიძე.**

გიორგი ნინოშვილი

დავკარგეთ საუკეთესო ამხანაგი—სტუდენტი გიორგი ნინოშვილი. მოულოდნელი უცაბედი იყო ჩვენთვის მისი სიკვდილი. ვერც კი გავიგეთ, თუ იგი ავათ იყო და კვდებოდა, და ვერც უთხარით მის გაციებულ გვამს უკანასკნელი „მშვიდობით".

მოკვდა ახალგაზრდა ჭაბუკი. დასჭკნა ყვავილი, ჯერ სრულიად გაუფურჩქვნელი. მის მგრძნობიარე გულს და მის გამჭრიახ გონებას არ დასცალდა მიზნების ასრულება. მისი მაღალი წადილი და მაღალი აზრები მარტოოდენ ოცნებათ დარჩა. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ დაჰკარგა მომავლის ძალა, ერთი იმედი... მან მხოლოდ ორიოდე წერილი დაგვიტოვა, რომელიც გასულ გაზაფხულს ჩვენ ჟურნალ „ახალ კვალში" დაიბეჭდა. და მას ბედმა აღარ აცალა მეორე გაზაფხულს მოსწრებოდა.

გვაპატიე გიორგი, შენ ამხანაგებს, რომ უკანასკნელად ვერ გეცით პატივი, ვერც მოგიარეთ.

მწარე გრძნობა და ნაღველი იმონებს ჩემს გულს და რაღა გითხრა უკანასკნელად?..

მშვიდობით, ამხანაგო! „ჭლვთო იყოს შენი სიკვდილი".

ამხანაგების სახელით ა. მ.

საერობო არჩევნები დუშეთის მაზრაში

საერობო არჩევნები დუშეთის მაზრაში დაიწყო 10 ნოემბერს და დასრულდა 15 ს. მეტად ცუდ პირობებში მოუხდა მუშაობა ერობის შემომღებ კომიტეტს: ერთის მხრით საშინელი უნდობლობა საზოგადოთ ყველა არჩევნებისადმი იმ ანარქიის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა დუშეთის მაზრაში, და მეორეს მხრით, ახალი გადამდები სნეულების გავრცელება მთელს მაზრაში; ამის გამო ძალიან მცირე რიცხვი ამომრჩეველთა ცხადდებოდა ყუთთან, ზოგან ხალხი სრულებით უარს ამბობდა: ერთხელ ხომ ჩავყარეთ კენჭები, მაგრამ აბა რა მოგვიტანაო. ასე რომ ოთხს საარჩევნო უბანში არჩევნები სრულებით არ მომხდარა. მიუხედავათ ამისა, ჩვენი ამხანაგების ენერგიული მუშაობის წყალობით, შედარებით დიდმა %-მიიღო მონაწილეობა არჩევნებში (27%). იყო ორი სია: სოციალ-დემოკრატების და სოც. ფედერალისტების.

ჩვენს პარტიას განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ძნელი იყო მუშაობა იმ ხალხში, რომელიც პროვოკაციით მოწამლული იყო და ამ რამდენიმე თვის წინათ იარაღით ხელში გამოდიოდა ჩვენს წინაამდეგ, მით უფრო მძიმე იყო, როცა ჩვენი მოწინააღმდეგენი ფედერალისტები არ ზოგავდნენ არავითარ საშუალებას, რომ ჩვენი პარტია დაემცირებინათ, სახელი გაეტეხათ მისთვის; მათ უნდოდათ ამ ხალხის ნაწილის მტრული განწყობილება მენშევიკების წინააღმდეგ უფრო გაეღრმავებინათ და ამაზე აეგოთ თავიანთი გამარჯვება. ჯერ კიდევ პრესაში დაგვიწყეს ქადილი: დამოუკიდებლათ გამოდიხართ, მაგრამ აბა ვნახოთ, თქვენი გაკოტრებული პირველი ნომერი რასაც გააკეთებსო. და მართლაც, ფედერალისტებმა მიზნათ დაისახეს დუშეთის მაზრაში ჩვენი დამარცხება. მთელი თავისი ძალები ფეხზე დააყენეს, ორი კვირით წინ არჩევნებამდის გაგზავნეს მაზრა თფილისიდან ჩამოსულ პროპაგანდისტებით (40 კაცამდე), ამ ჯარის მთავარ სარდლათ ბ-ნი ს. დადიანი დანიშნეს და გადავიდნენ შეტევაზე. გამოუშვეს ფურცლები, სადაც სოციალ-დემოკრატებს მატყუარებათ ნათლავდნენ და ხალხს ბედნიერებას და აშენებას ჰპირდებოდნენ; ცხადია, აგიტაციის დროსაც არ ერიდებოდნენ დემაგოგიას, ბოლშევიკების სამოსელში ეხვეოდნენ და ხალხს უბნებოდნენ, ჩვენ და ბოლშევიკებს ერთი პროგრამა გვაქვს. მენშევიკები ეს გვარდიის პარტიაა, იმ გვარდიის, რომელიც თქვენ ზარბაზნებს გიშენდენ და სხვა. პროპაგანდისტებს რაღა გაემტყუნება, როცა თვით მთავარი კომიტეტის წევრები გამოდიან მიტინგზე და ხალხს ეუბნებიან: მენშევიკების მიწის კანონი ბევრ მიწას უტოვებს მემამულეს, 7 დესეტინას, ეს ძალიან ბევრია, მათი კანონი მემამულის ინტერესებს იცავსო. და როცა ამხ. კ. ნინიძემ მათ უპასუხა, რომ ფედერალისტების წარმომადგენლებმა სეიმში და პარლამენტში ეს კანონი დაადასტურეს და თქვენ კი ხალხში გამოდიხართ და ახლა ამ კანონის წინააღმდეგ ილაშქრებთ, ეს არ არის პოლიტიკური მოპირდაპირის სინდისიერებაო. ფედერალისტები შეეცადნენ ეს კითხვა მიეფუჩეჩებინათ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თავიანთ კანდიდატების სიაში ფედერალისტებმა წამოაყენეს ერთის მხრით ნაც. დემოკრატები, მეორე მხრით „ბოლშევიკებიც". ფარული ბლოკი მარჯვნით და მარცხნივ. ამით უნდოდათ ფონს გასულიყვნენ. აბა ვინ არის ცნობილი ვაჭარი კობაიძე, ვინ არის მღვდელი ლუდუშაური და ვინ არის ლალიაშვილი, რომელიც მათ ბარალეთის ოლქიდან წამოაყენეს?

ეს ცოტაა: ერთი ქინვალელი გლეხი უნდოდათ გაეფედერალისტებიათ და თავიანთ სიაში წამოასკუპეს, არც კი დაეკითხენ იგი, მისი ყალბი თანხმობა კი წარმოადგინეს.

აი, რანაირ ზნეობრივ სიკოტრემდე მივიდნენ დუშეთის მაზრაში ფედერალისტები!

მაგრამ მათ მაინც ვერაფერმა უშველა; 25 ხმოსანში, მხოლოდ 5 ხმოსანი გაიყვანეს და ისიც დიდის გაჭირვებით.

აი ცხრილი არჩევნებისა:

	ამომრჩევ. რიცხვი	რამდ. მი-იღო მონ.	რამდ. % მიიღო მონ.	№ 1 მი-იღო	№ 2 მი-იღო	№ 1 ხმოს. რიცხვი	№ 2 ხმოს. რიცხვი
ქ. დუშეთი . . .	867	536	61	222	308	0	1
ბაზალეთის სათ-ჩევნი ოლქი .	7271	659	9	310	343	2	3
მტიულის	8394	2702	32	2135	567	5	1
ქსნის	7297	1980	27	1928	50	6	0
ქვეშეთის	9815	3148	32	3007	135	7	0
სულ მაზრაში . .	33644	9025	268	7602	1403	20	5

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ქ. დუშეთში მათ მიიღეს მხოლოდ 80 ხმით მეტი, როცა მთელი ორი კვირა ოლქში იწურებოდენ თვით დუშეთში, ყოველღამ კრებებს მართავდენ, სადაც გამოდიოდენ ფედერალისტების ლიდერები: ს. დადიანი, შ. ნუცუბიძე, ი. ბარათაშვილი და სხვ.

ბაზალეთის ოლქში მათ შესძლეს 3 ხმოსნის გაყვანა 343 ხმით. იყო ასეთი მაგალითი: ს. ყვავილში, სადაც 1,000 მეტი ამომრჩეველი იყო, ფედერალისტებმა გაგზავნეს 11 პროპაგანდისტი და სწორედ მიიღეს 11 ხმა.

ამ ოლქში საზოგადოთ ხალხი არ ღებულობდა მონაწილეობას არჩევნებში, მეორეს მხრივ კი ჩვენ პარტიას არ ჰყავდა კაცები (მთელ მაზრაში მუშაობდა 6 თუ 7 კაცი), რომ დაეგზავნა, კომისიების თავმჯდომარე კი სულ ყველა ავათ გახდა.

ყველაზე სასტიკი დამარცხება ფედერალისტებმა იგემეს ქსნის და ქვეშეთის ოლქში; ქსნის ოლქში მიიღეს მხოლოდ 50 ხმა, პირველმა ნომერმა კი—1928, ქვეშეთის ოლქში მეორემ—135, პირველმა კი—3007. ვერ უშველა ფედერალისტებს ვერც დემაგოგიამ, ვერც იოსებ გედევანიშვილის წამოყენებამ!

ამ არჩევნებმა დაამტკიცა, რომ სადაც ხალხის ფართო მასა გამოდის არჩევნებში, იგი კვლავ სოც.-დემოკრატიას მიჰყვება, მხოლოდ იქ, სადაც ხალხი შეუგნებლობის გამო არჩევნებს გაურბის, ფედერალისტებს ეძლევათ საშუალება შედარებით გამარჯვებისა, მაგ. ბაზალეთში, სადაც 9 პროც. მოვიდა ყუთთან.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დამოუკიდებლათ გამოსვლამ სავსებით გამოააშკარავა ფედერალისტების ნამდვილი სახე, აამოძრავა მასსა, შეიტანა მასში ერთგვარი სიფხიზლე, გამოარკვია ძალთა განწყობილება და ამგვარათ მოამზადა ნიადაგი დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის.

საერობო ხმოსანთა თათბირი დანიშნულია 8 დეკემბერს ქ. დუშეთში.

უნინი.

საქართველოს პარლამენტი

კანონ პროექტი გადიდებულ პირდაპირი გადასახადების და ბაჟების მოკრეფის არსებულ კანონის მოქმედების გაგრძელების შესახებ.

იას. ლორთქიფანიძის მოხსენების შემდეგ პარლამენტმა მიიღო შემდეგი კანონ პროექტი:გაგრძელებულ იქნას 1918 წლის 1 იანვრიდან მოქმედება: განყოფ. 1 და III (სტ. სტ. 1—3 და მუხლი ა, სტ. 4) და VII, თავი ა,—ყოფილ რუსეთის მინისტრთა საბჭოს 4 ოქტომბერს 1914 წ. დამტკიცებული დებულებისა შესახებ უკვე არსებულ გადასახადებისა და ბაჟების გადიდებისა და ახლების შემოღებისა განყ. მე-VII, 9 იანვარს 1915 წ. დამტკიცებული იმავე მინისტრთა საბჭოს დებულებისა (კანონმდებათა კრებული, სტ. 149) შესახებ ხაზინის შემოსავლების გადიდების ზომებისა; განყოფ. მე-I და II, 13 მაისის 1916 წ. დამტკიცებული იმავე მინისტრთა საბჭოს დებულებისა (კან. კრებ. სტ 998 შესახებ დროებითი გადასახადის დაწესებისა ზედმეტი მოგებაზე იმ ცვლილებით, რომელიც ამ გადასახადში შეიტანა დროებით მთავრობამ 12 ივნისის 1917 წ. დადგენილებით, და უკანასკნელი განყ. III, 19 აპრილის 1915 წ. დამტკიცებული იმავე მინისტრთა საბჭოს დებულებისა (კან, კრებ. სტ. 1004) სამხედრო გადასახადის დაწესების შესახებ.

კანონ პროექტი მინისტრებისთვის ჯამაგირის გადიდების შესახებ.

ნ. ცინცაძის მოხსენებით პარლამენტმა მიიღო წარმოდგენილი კანონ-პროექტები, რომლის ძალით უნდა დაინიშნოს მინისტრებს და მათ შორის მთავრობის თავმჯ. და სახელმწიფო კონტროლიორს თვიურ ჯამაგირად 3000 მან. თითეულს, ხოლო მინისტრების ამხანაგებს და სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგებს ენიშნება თვიურ ჯამაგირად 2700 მ. თვითეულს 1 ნოემბრიდან, 1918 წ.

კანონ პროექტი ქ. თფილისისათვის 4 მილიონი მანეთის სესხის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი პ. ქავთარაძე: ფულის მხრით ქ. თფილისის თვითმართველობა კრიზისს განიცდის, საფინანსო კომისიამ გადაწყვიტა მიეცეს ქ. თფ ლისს 4 მილიონი მანეთი სესხი 4 წლის ვადით.

ს. დადიანი (ს. ფ) ეს წესი, რომ ქალაქები მთავრობას შესცქერიან არ არის სასარგებლო. თითეული ქალაქი თავისი მომჭირნეობით თავისივე ხარჯებს უნდა ფარავდეს რასაკვირველია, დღევანდელ პირობებში ჩვენ ამ კანონ პროექტის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. მხოლოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ, ქალაქის საბჭოში ბევრი ისეთი ელემენტებია, რომლებიც ჩვენს დამოუკიდებლობის განმტკიცებას ხელს უშლიან თავიანთი მოქმედებით და ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ნ. ელიავა. ის საერთო მოსაზრება, რომელიც აქ დადიანმა მოიყვანა, მართალი არ არის. მთელს რუსეთში არ არის ისეთივე ქალაქი, რომელიც თავის გასავალს შემოსავლით ფარავდეს. თუ კი ქალაქი იმ გზას დაადგება, რომ ხარჯი დაფაროს, მაშინ ის იძულებული იქნება შეაჩეროს ზოგიერთი დაწესებულებები, შეკვეცოს თავისი მუნიციპალური მოღვაწეობა, მაშინ უნდა დაიხუროს რამოდენიმე სახალხო სკოლა, საავათმყოფოები, რომელშიაც თავშესაფარს პოულობს დღეს 600 ავათმყოფი. ამ პირობებში, რასაკვირველია, ქალაქი თავის ხარჯს დაფარავს. მაგრამ ეს ქალაქის ცხოვრებისათვის ხელსაყრელი არ არის. რაც შეეხება დადიანის მეორე განცხადებას, რომ საბჭოში ისეთი ელემენტებია, რომლებიც ხელს უშლიან მოქმედებაში და სხვ. ძნელია იმის თქმა, რომ საბჭოში იყოს ისეთი ელემენტი, რომელიც ქალაქის სამეურნეო საქმეებით არ იყოს დაინტერესებული და მას ხელს უშლიდეს და თუ არის, ბ-ნებო! უკვე მოახლოვებულია არჩევნები ახალი ხმოსნებისა და მაშინ თითოეული ჯგუფი და პარტია თავისას იტყვის. მცირე კამათის შემდეგ კანონ-პროექტი მიღებულ იქნა.

კანონ-პროექტი ევროპაში მიმავალ დელეგაციისათვის 1 ნახ. მილიონი მანეთის მიცემის შესახებ.

მომხსენებელია პ. ქავთარაძე.

ევროპაში მიმავალ დელეგაციას ხარჯების დასაფარად უნდა მიეცეს ერთ-ნახევარი მილიონი მანეთი.

გ. გვაზავა ამბობს, რომ ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგ არავინ იქნება, მხოლოდ საჭიროა ერთს გარემოებას მიექცეს ყურადღება. ჩვენი დელეგაცია სტამბოლში ყოფნის დროს მოწყვეტილი იყოს ცენტრს, თფილისს და არ იცოდა, თუ რა ხდებოდა აქ. სხვა დელეგაციებს კი მოსდიოდათ ცნობები. ამიტომ საჭიროა მოეწყოს ფოსტა-ტელეგრაფი და აგრეთვე თვეში ერთხელ მაინც იგზავნებოდეს შიკრიკი.

ნ. რამიშვილი. პარლამენტის წევრნო! მე მგონია, რომ ბ. გვაზავა მოიყვანდა ისეთ საბუთებს, რომლებისათვის მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია. აქ ჩვენ გვითხრეს, რომ სასურველია ტელეგრაფი მოეწყობოდეს და შიკრიკიც იგლიდეს ხშირ ხშირად. ამის წინააღმდეგ ვის რა ექნება? მე ძლიერ გამაკვირვა ასეთმა განცხადებამ, მით უმეტეს იმ დელეგატისაგან, რომელიც ოსმალეთში იმყოფებოდა, მე ამაზე არ გავაგრძელებ სიტყვას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ოსმალეთის მთავრობა დაჰპირდება და მერე აუსრულებლობას შენ გადაგაბრალებს. ეხლა გავიგე, რომ ადერბეიჯანში სადღაც ხიდი აუფეთქებიათ, მათ ეს საქართველოს ტერიტორიაზე გადმოუტანიათ და ბაქოში ინგლისელებისათვის ისე გაუცვნიათ საქმის ვითარება, თითქოს ხიდის აფეთქება საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარიყოს.

ჩვენ გვინდოდა უმთავრესათ კავშირი დაგვეჭირა ბერლინთან, თუ არ მოეწყო ეს სასურველად ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენ დეპეშები ბევრი გავგზავნეთ, მაგრამ როგორც გამოირკვა, ყველას არ მიუღწევია დანიშნულებისამებრ. ყველა ეს სურვილები კარგია და მთავრობა ეცდება შესაფერი ზომები მიიღოს, მაგრამ თუ შეუძლებელი გახდა საქართველოს ცენტრთან კავშირის დაჭერა, ჩვენი დელეგაცია მიუხედავათ ამისა, იქ შესძლებს აქაური მდგომარეობის შეფარდებით მოქმედებას.

კანონპროექტი მიღებულია. დღის წესრიგშია რ. გაბაშვილის შეკითხვა მთავრობისადმი ხიდების აფეთქების შესახებ.

რ. გაბაშვილი შეკითხვას ხსნის, რადგანაც მას მნიშვნელობა დაკარგული აქვს და მის მერე მდგომარეობა შეიცვალა.

რუსეთსა და უკრაინაში

(ოდესის გაზეთებიდან).

კონფერენცია ყოფილი რუსეთის იმპერიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებისა.

კიევი. 21 ნოემბერი (უ. დ. ს.). მთავრობის წრეებში ირჩეოდა საკითხი, რომ მოწვეულ იქნას ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კონფერენცია კიევში, რომლებიც კი დაარსდნენ ძველი რუსეთის დაშლის შემდეგ. ამის გამო საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასდგა ნაბიჯები იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ უყურებენ აღნიშნულ კონფერენციის მთავრობების მოწვევას დონისა, ყუბანისა, თერგის ოლქისა, საქართველოსი და მოხალისეთა არმიისა. კონფერენციის მოწვევის იდეამ მთავრობებში თანაგრძნობა ჰპოვა.

რუსეთის ოქროს ფონდის ბედი.

მოსკოვი. (უ. დ. ს.). ც. აღმ. კომ. სხდომაზე უარყოფილ იქნა კომისარ შეინმანის წინადადება, რომ მოეთხოვოს გერმანიას ოქროს კონტრიბუციის უკან დაბრუნება. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც იმედია გამოთქმული, რომ ლიბკნეხტი მოითხოვს ოქრო საბჭოთა რუსეთს დაუბრუნდეს.

10 მილიარდის კონტრიბუცია.

პეტროგრადში, 5 ნოემბერს, გამოუქვეყნებიათ დეკრეტი ლენინის მიერ ხელმოწერილი, რომლის ძალით წვრილი ბურჟუაზია 10 მილიარდით უნდა დაიბეგროს. ამ დეკრეტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობამ უკვე შესძლო აელაგმა მსხვილი ბურჟუაზია, ეხლა დადგა დრო წვრილ ბურჟუაზიასთან ბრძოლისა.

ს.-დემ. პარტიაში

ყვირილა. 22 ნოემბერს შესდგა ყვირილა-შორაპნის სოც.-დემოკრატიული პარტიული კრება. ეს კრება გაგრძელება იყო 3 ნოემბრის კრებისა. სამწუხაროდ პარტიის წევრები მცირე დაესწრო, მაგრამ, როგორც გაგრძელება წარსული კრებისა, და მასთან კიდევ მესამედ მოწვეული, კრება მცირე კამათის შემდეგ კანონიერათ იქნა აღიარებული. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. პ. მეტრეველი, ამხანაგათ გ. შენგელია და მდივნათ გ. ნებიერიძე. კრებას უნდა განეხილა შემდეგი საკითხები: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) მაზრის, რაიონის და მცირე ერთეულების დაარსება, 3) ყვირილის მუშათა საბჭოს არსებობის შესახებ, 4) პარტიულ კრებას დაარ-

სება, 5) პარტიული კომიტეტის რეორგანიზაცია. სარევიზიო კომისიის წევრი ვლ. გოცაძე აკეთებს მოხსენებას პარტიული კასის შესახებ და აღნიშნავს შემდეგს: მთელი შემოსავალი კომიტეტისა ყოფილა 5107 მან. და 95 კაპ. გასავალი ჰქონია კომიტეტს 4467 მ. და 86 კ. კასაში დარჩენილა 640 მან. და 9 კაპ. პარტიის წევრთა რიცხვი უდრის 986 კაცს. სარევიზიო კომისიის წევრთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყვირილის სოც.-დემ. კომიტეტს მუშაობა უწარმოებია დამაკმაყოფილებლად, თუ მივიღებთ იმ არა ნორმალურ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა კომიტეტს მუშაობა, მეტის მოთხოვნა შეუძლებელიც იყო. სარევიზიო კომისიამ აღნიშნა აგრეთვე დეფექტები, მაგ., როგორც არის ერთი საბუღალტრო წიგნის უქონლობა, მაგრამ საქმეს ამითი არაფერი ზიანი არ მისდგომია კომიტეტს ჰქონდა ისეთი წიგნები, დანომრილი, სადაც ნათლად იწერებოდა შემოსავალი და იწერებოდა გასავალი. დეფექტათ ჩასთვალა კომისიამ აი ეს მოვლენა, რომ კომიტეტს არ ჰქონდა ერთი მთლიანი წიგნი, ამის შესახებ განმარტებას იძლევა ამხ. გ. შენგელია. ის ამბობს, რომ კომიტეტი სწორედ აწარმოებდა ასეთი წიგნით ანგარიშებს, მაგრამ წინათ არჩეულმა სარევიზიო კომისიამ მოსპო ასეთი სისტემა და დააწესა ცალკე შემოსავლის, და ცალკე გასავლის წიგნაკები. გარდა ამისა კომიტეტის მუშაობას ხელს უშლიდა მატერიალური მდგომარეობა, მას სახსარი არ ჰქონდა კომიტეტში მუდმივად დაეყენებია კაცი, რომელსაც შესძლებოდა მთლიანად საქმის წარმოება. მცირე შეკითხვების შემდეგ კრებამ ანგარიშები მიღებულად სცნო და გადავიდა მორიგ კითხვებზე. მაზრის, რაიონის და მცირე ერთეულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. გოცაძე. ერთი ცენტრის დაარსებას პარტიული ყრილობა საჭიროდ სცნობს და ერთხმად ღებულობს წინადადებას, რაც შეიძლება მალე მოეწყოს ასეთი ცენტრი, მხოლოდ ეს ემცნოს ჭიათურელ ამხანაგებს. სამაზრო ცენტრის მოსაწყობად არჩეულ იქნა სამი კაცისაგან შემდგარი ბიურო, სადაც შედიან ამხ. მ. ტაბატაძე, გ. კაპანაძე, ა. არაბიძე.

ყვირილის მუშათა საბჭოს არსებობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. მეტრეველი. ის აღნიშნავს იმ მოვლენას, რომ ყვირილის საბჭოს მუშაობა ამ ბოლოს ხანს მინელდა და საჭიროა მის გარშემო ისევ შევიტანოთ მეტი სიცოცხლე კულტურულ მუშაობის სფეროში. კრებამ საჭიროდ აღიარა მუშათა საბჭოს არსებობა, რადგან საბჭოებს ჯერ კიდევ არ უთქვამთ თავისი უკანასკნელი სიტყვა და გადასწყვიტა მოხდეს მოკლე ხანში, ესე იგი 10 დეკემბრისათვის მოწვევა საბჭოს ყველა წევრების და მოხდეს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რეორგანიზაცია.

პარტიულ კლუბის დაარსება მოხსენებას აკეთებს ონ. ბაქრაძე. ყრილობამ ერთხმად აღიარა მუშათა კლუბის დაარსების საჭიროება და მიანდო პარტ. კომიტეტს, რაც შეიძლება მალე მოეწყოს ასეთი კლუბი.

კრების დასასრულ, კრება შეუდგა კომ. რეორგანიზაციას, ფარული ხმის მიცემით არჩეულ იქნა სოც.-დემოკრატ. კოლექტივის წევრებათ შემდეგი პირები: გ. შენგელია, პავ. მეტრეველი, პოლ. გოგიაშვილი, ონ. ბაქრაძე, ელ. გაბილაია, ნ. ქუთათელაძე, ს. გოცაძე, ს. ფერაძე, გ. ნებიერიძე, ვლ. გოცაძე, რ. კუკულიძე. კანდიდატებათ: კ. მჟაჩიძე, ირ. მექაძე, პ. კიხუთელიძე. სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან შემდეგი პირები: მიხეილ ტაბატაძე, ავ. ცქიტიშვილი, ვ. მაჭავარიანი. კრების დასასრულ პარტიის წევრებმა გამოსთქვეს შემდეგი მოსაზრება: ვინაიდან პარტიული კომიტეტი და პარტიული კრება არის უმაღლესი ორგანო, ამიტომ საჭიროა არის ყოველ კრებაზე კეთდებოდეს მოხსენება სხვადასხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებიდან, როგორც არის ერობა, ქალაქის თვითმართველობა და სხვა. ყრილობამ ეს მოსაზრება ერთხმად დაადასტურა.

ვერხვი.

პროვინცია

ს. ოძისი (დუშეთის მაზრა). ეს სოფელი თავისთავად დიდ საზოგადოებას წარმოადგენს. ეს საზოგადოება შესდგება დაახლოვებით ათი სოფლიდან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ აქ სოფლები დაშორებულია ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე და ზოგ ალაგას რამოდენიმე კომლი ატარებს სოფლის სახელწოდებას. ავადმყოფობა აქ ძალიან ფეხმოკიდებულია; ამათი მშველელი არავინ აა. არავითარი კულტურული დაწესებულება აქ არ არსებობს. ხალხი სიბნელეს მოუცავს. ამ დროში ასეთი ხაზნელე ძნელი წარმოსადგენია.

რვა ნოემბერს, ჩვენი სამსახურის გამო, ამ სოფელში მოვედი, ვინახულე აქაური ამორჩეული კაცი, რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა ამხანაგებისადმი იმ მხრივ, რომ ეს სოფელი ძალიან უპატრონოდ არის მიტოვებული, წელიწადი ისე გავა, რომ ერთი ვინმე არ გამოივლის, რომ ხალხს რამე აუხსნას და მთავრობის მუშაობა რამოდენიმე გააცნოს. საერობო არჩევნებისთვის აქ ისეთი არევინაა, რომელმაც უხელმძღვანელოს და ხალხს აუხსნას არჩევნების მნიშვნელობა. ფედერალისტები აქ დიდი ხნიდან მუშაობენ. აქ დიდი სოფლებია, სადაც ბოლშევიზმის სულით კიდევ ძალიან არიან გაჟღენთილები, და აი ფედერალისტებიც ბოლშევიკების სახელით ეცნობოდნენ და ხალხს უქადაგებდნენ, თუ მიწა უფასოთ გინდათ, მეორე ნომერს მიეცით ხმაო.

არჩევნებს ძალიან ხელი შეუშალა ახალმა ავადმყოფობამ, ამის გამო ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო არჩევნებს. სადაც მოსალოდნელი იყო, სამასამდე კაცი უნდა გამოცხადებულიყო, არჩევნებში გამოცხადდა ოთხმოცდა შვიდი. იყო ფედერალისტების წარმომადგენელი, რომელმაც ბევრი ილაპარაკა ხალხს არჩევნების შესახებ, მთელი თავის სიტყვებით დაიყრდნო იმას, რომ ვისაც მიწა უფასოთ გინდათ, ხმა მიეცით მეორე ნომერსო. მიუხედავათ ამისა, დამსწრე საზოგადოებამ ერთხმათ პირველ ნომერს მისცა ხმა.

11 ნოემბერს, გავემგზავრე ახალგორში, ეს ორი სოფელი დაშორებულია ერთი მეორეზე ათი ვერსის მანძილით, აქ არჩევნები ვერ დამთავრებულა სასურველად. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, ახალგორის გაძვალტყავებული სოფლელების ბედ-იღბალი ჩაგდებია ხელში რამოდენიმე ჩარჩ ვაჭრებს და შეუბრალებლათ აძრობენ ტყავს. ახლო მახლო მთებში გაბნეულ სოფლებიდან ხალხი ახალგორის ჩარჩებს ვერ ასცდებიან, ასე რომ, ის თუ ორას კვერცხში უნდა წაიღოს სახლში ერთი ფუთი მარილი, ან და ერთი არშინი დამპალი ჩითი, რომელიც მაშინვე გაუჩნდება ამ ჩარჩებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ქსნის რაიონის კომისარის ამხ. სარუჯველაძის ენერგიული მუშაობა.

ამავე დღეს, 11 ნოემბერს, ახალ-გორიდან გორების ხევის სოფელში გავემგზავრე. ეს სოფლები 12 ვერსის მანძილზეა დაშორებული ერთი მეორეზე. აქ სურათი კიდევ უსაშინელესია. ახალ ავადმყოფობას უფრო ფართოდ გაუდგამს ფესვები, დღე არ გაივლის, რომ ხუთი ექვსი არ დაისაფლავონ, ერთად-ერთი ხალხის გასართობი მიცვალებულებზე ატარებული ხარჯია; ისეთი ღარიბი გლეხი არ იქნება, რომ მიცვალებულის დასაფლავებაზე ორას სამასი თუმანი არ დახარჯოს, ეს კი ვერ მოუფიქრებიათ რომ რამოდენიმე თუმნის წამალი მოუტანონ და ექიმი მოუყვანონ. გასდება თუ არა ვინმე ავათ, მისი გადარჩენა მასზეა დამოკიდებული იმ მხრივ, რომ თუ გადარჩა და ჯანმრთელობით ან უფალმა, როგორც იტყვიან. თუ მოკვდა, ოჯახის წევრები შეუდგებიან ხარჯის სამზადისს. [illegible] დამარხვას ვერ ასწრის.

აქ ექიმი წელიწადში ერთხელაც არ გაივლის. ქ. დუშეთში ყოფილა ვინმე ბ. მერაბოვი, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოდის ვერეხის ხევის საზოგადოებაში, როცა სახლში პურები შემოელევა. აქ სკოლა ყოფილა, რომელიც დაუხურიათ. მიზეზი ის ყოფილა, რომ ბავშვები სკოლაში შესვლით მწყემსობას მოსცდებიანო. და ამისთვის აქ მასწავლებელი თავის ბარგი ბარხანით გაუსტუმრებიათ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ერთობ დიდი დრო და დაუღალავი შრომაა საჭირო, რომ ეს ჩამორჩენილი მხარე ფეხზე დადგეს, ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის სიყვარულით გაიჟღენთოს და ასეთ ხევებიან უდაბნოს არ წარმოადგენდეს. ჩვენი ამხანაგების და მთავრობის ყურადღებაც აქეთ უნდა იყოს მიქცეული.

ხ. არაშიძე.

აბედათის საზოგადოება. (სამეგრელო) რამდენიმეჯერ კი იყო „ერთობაში" დაწერილი აბედათის საზოგადოებიდან ს. ჯოლევის გამოყოფის და ცალკე საზოგადოებათ დაარსების შესახებ, რომელიც დიდ უთანხმოებას იწვევს ჯოლო-აბედათის მცხოვრებთა შორის. ორივე სოფლის მცხოვრებთ უნდათ უმრავლესობაზე უპირატესობას, სასამართლო, სკოლა და სხვა კულტურული დაწესებულებანი გატანილ იქნას საშუალო ადგილზე ე. ი. ჯოლო-აბედათის საზღვარზე. მიუხედავათ ყოველივე ამისა ჯოლევიდან წასულან სამაზრო ერობის გამგეობასთან და უთხოვიათ: ჯოლევის ხვედრი მოძრავი ქონება, რომელიც ირიცხებოდა აბედათში მიეცათ ჯოლევისათვის, სადაც სამაზრო ერობიდან გამოგზავნილ იქნა საქმის მოსაწესრიგებლად ბ. ფიჩხაია, რომელმაც გაიგო მოწინავე ამხანაგებიდან ყოველივე შინაარსი ჯოლო აბედათის უთანხმოებისა. 20 ოქტომბერს ჩამოვიდა ერობის წარმომადგენელი ბ. ფიჩხაია. კრება გაიხსნა საათის ოთხზე. ბ. ფიჩხაიამ აუხსნა დამსწრე საზოგადოებას თავისი ჩამოსვლის მიზეზი და ყოველივე სიმძიმე საზოგადოების დაქუცმაცებისა. ურჩია ჯოლო-აბედათის შეერთებაზე. საზოგადოებამ ერთხმად წაიღო ბ. ფიჩხაიას წინადადება და კომისიებიც აირჩიეს: 5 კაცი ჯოლევიდან და 5 კაცი აბედათიდან. ამ შერეულ კომისიას დაავალეს საშუალო ადგილის გამონახვა, სადაც გადატანილი იქნებოდა სასამართლო, სკოლა და სხვა. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ კომისიებთა შორის შეთანხმება არ მოხდა. აბედათის კომისია აქეთ იქაჩება და ჯოლევის კი იქით. საზოგადოება ღიზიანდება. ამისათვის კარგს იზამს სამაზრო ერობა მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას, ჩაერეოდეს ამ საქმეში, სამართლიანად მიუთითებდეს საზოგადოებას საშუალო ადგილზე და მით მოსპობდეს ბოლოს საზოგადოების უთანხმოებას.

ჯოლო-აბედათში და ბანძაში თოფების სროლა ძველებურათ დაიწყეს. დათვრებიან ზოგიერთი მილიციონერები და ისვრიან. ბანძაში ექვსი საათი იყო სროლა. მერე ვინ? მილიციონერები მთვრალი, გალეშილი და მათი მეგობრები წარა-მარა ისროდენ თოფებს, რაც ადგილობრივ ადმინისტრაციის სისუსტეს უნდა მიეწეროს,

ში — რი.

ქ. ოზურგეთი. 19 ნოემბერს, ქალ. ოზურგეთიდან სოფ. აჭაში გაემგზავრა დელეგაცია პოლკოვნიკ ასლან-ბეგ აბაშიძის მეთაურობით, რომელიც შესდგებოდა შემდეგი პატივცემული პირებისაგან: შტაბს-კაპიტანი ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი ზია-ბეგ აბაშიძე, მთავრობის წარმომადგენელი კაპიტონ გოგოლაძე და პეტრე სურგულაძე.

დელეგაციის მიზანი იყო გამორკვევა იმ უთანხმოების, რომელიც არსებობდა აჭასა და ლიხაურის საზოგადოების მაჰმადიან ქართველებსა და ქრისტიანებს შორის, რაიც გამოიწვია ჯემალ-ბეგის და მის დამქაშთა პროვოკაციულმა გამოსვლამ და ოსმალთა ურდოების შემოსევამ ჩვენს მხარეში. პირველად დელეგაციას ლაპარაკი მოუხდა ლიხაურის საზოგადოებასთან, რომელმაც დიდი ნდობა გამოუცხადა დელეგაციას და აღუთქვა, რომ მომავალში ს. აჭის საზოგადოებასთან იქონიებს ძმურ კავშირს. შემდეგ დელეგაცია გაემგზავრა ს. აჭაში. ჯამეზე შეკრებილი ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა დელეგაციას. აქაც მეტად დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს. აქაც სოლიდარობის, ძმობის და მეგობრობის ხმა გაისმოდა, დელეგაცია სრული კმაყოფილი დაბრუნდა იმ იმედით, რომ ყოველივე უთანხმოება ძლიერ იქნება და დამყარდება კეთილ მეზობლობა ამ ორ საზოგადოებათა: ორ მოძმეთ—მუსულმან ქართველებსა და ქრისტიანებს შორის.

ქართველი მაჰმადიანი.

წერილი რედაქციის მიმართ

ღია წერილი ფუთის (შორაპნის მაზრა) სასკოლო კომიტეტს.

ამა წლის 17 ღვინობისთვის სხდომაზე თქვენ დაადგინეთ ვალერიან თუთბერიძის მასწავლებლად მოწვევა სოფელ ფუთის სამინისტრო სკოლაში ამხ. შალვა თუთბერიძის მაგიერ. ვსცნობთ რა თქვენ ამ დადგენილებას ყოველსავე კრიტიკის გარეშე, რომ ხსენებული ვალერიან თუთბერიძე ჩვენი ცნობით ყოფილი „ახრანკის" წევრია, და მისი ამ სოფლად გადმოყვანა გამოიწვევს ანარქიას მცხოვრებთა შორის. ამისათვის ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, კომიტეტის წევრები: ერთი მშობელთა წრის წარმომადგენელი, მეორე კი აღმასრულებელი კომიტეტის—პროტესტს ვაცხადებთ კომიტეტის ამ დადგენილების გამო და გავდივართ კომიტეტის შემადგენლობიდან.

სიხო ვარდოსანიძე და ვარლამ ხარაიძე,

მეც სრულიად ვეთანხმები ფუთის სასკოლო კომიტეტის ორი წევრის განცხადებას.

სასკოლო კომიტ. ყოფილი თავმჯდომარე შალვა თუთბერიძე.

განცხადებანი

გახსნილია
კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაციები, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი
დ. ზ. ნიჟარაძე
იღებს ავათმყოფებს დღის 2—4 საათ. ნაძალადევში ლოტკინის ქ. № 9. (12—1)

მედიცინის დოქტორი
ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ვერის ტელ. № 49.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ-ცხ.) და მისი შედეგებით დაავადებულთ, ხანგრძლივ ნაკლულოვანებით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, შუშელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ქალი
ო. ს. ძარუძის—მიზურიშვილი.
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: მელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

კბილის საექიმო კაბინეთი
თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი ლ. ი. ჯაშარაძე
ჰკურნავს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან [illegible], სამეანო და [illegible] სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სამხრეთის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე მოდებაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მისი შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიიღებს საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი [illegible] და [illegible] ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. [illegible] ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი მ. ა. ზაზრაძე.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე [illegible] სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს [illegible] საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექ. ქალი რ. ა. [illegible]-სახაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი ზ. ბ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირის დღის გარდა, მისამართი: [illegible] ქ. № 57; [illegible] ტელ. 5—[illegible]

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილი 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"
ხამშაბათს, 3 ქრისტეშობისთვეს, 1918 წ.
ქართველ მსახიობთა საუკეთესო ძალების მიერ ვ. აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა
არშინ მალ-ალან
4 მოქ. გაჯიბეკოვისა თარგ. ვ. გუნიასი.
ორკესტრს დირიჟორობს ცნობილი [illegible] „ხერსი".
ბილეთები იყიდება თეატრის კ. სალაროში 5—8 საათამდე.
დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.
ქარ. წარ. მმარ. წრის გამგეობა.

სახელმწიფო თეატრი
ოპერა.
სამშაბათს, 3 დეკემბერს, შულგინის, [illegible], ბელიაკის, გრინსკის მონაწილეობით
I ქ-ნი ბატერფლეი
II „კავალერიის პრივალი"
დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.
ანონსი: ოთხშაბათს, 4 დეკემბერს, საიუბილეო წარმოდგენა ვ. ნიკოლსკის ათი წლის სცენაზე მოღვაწეობის ღირსშესანიშნავად 1) მოცარტი და სალიერი, 2) [illegible] დემონი.

გერმანულ-კავკასიური
სავაჭრო ბანკი
გოლოვინის პროსპექტი, არამიანცის სახლი
ბანკმა მოქმედება დაიწყო
30 ნოემბერს 1918 წ.
აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს
თანახმად ბანკის წესდებისა. (2—1)

საქართველოს სოც. დემ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებობს
სეკრეტარიატი,
რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს საჭირო ყოველგვარ [illegible]. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. მიღება დილის 9—2 ს. და საღამოს 5—8 ს. ტელეფ. № 16—62.